

თიბისი ქარდი – მეტი თავისუფლება

ახალი საკრედიტო ბარათის პრეზენტაცია **ახალ** ფილიალში

პრესრელიზი

8 აპრილს, 14:00 საათზე, თიბისი ბანკის ახალ ფილიალში (მის: ჟ. შარტავას ქ. №6, სააკაძის მოედანი) გაიმართება უნიკალური საკრედიტო ბარათის, თიბისი ქარდის პრეზენტაცია და სპეციალური აქცია ჟურნალისტებისათვის. აქციის სახელწოდებაა „მეტი თავისუფლება“ და მასში მედიის წარმომადგენლები მიიღებენ მონაწილეობას. აქცია ბევრ სასიამოვნო სიურპრიზს ითვალისწინებს. თიბისი ქარდის პრეზენტაციასთან ერთად, გაიმართება თიბისი ბანკის სააკაძის ფილიალის საზეიმო გახსნის ცერემონიალი, რომელსაც ბანკის პრეზიდენტი, ვახტანგ ბუცხრიკიძე დაესწრება.

უნიკალური საკრედიტო ბარათი – თიბისი ქარდი

თიბისი ქარდი არის საკრედიტო ბარათი საქართველოში ყველაზე ხანგრძლივი საშეღავათო პერიოდით. ამ ბარათის საშეღავათო პერიოდი 25 დღიდან 55 დღე დღემდეა – ამ პერიოდის განმავლობაში თიბისი ქარდის მეშვეობით აღებულ სესხს პროცენტი არ ერიცხება.

თიბისი ქარდი მის მფლობელს საშუალებას აძლევს მარტივად მოიძიოს საჭირო თანხა, მაქსიმუმ 55 დღიანი საშეღავათო პერიოდი კი გამოყენებული თანხის აუქქარებლად დაფარვის საშუალებას იძლევა.

საქართველოში ყველაზე ხანგრძლივ საშეღავათო პერიოდთან ერთად, თიბისი ქარდს გააჩნია უვადო საკრედიტო ლიმიტი, კრედიტი უზრუნველყოფისა და თავდებობის გარეშე. ამასთან, ბარათის მიღების პროცესი ძალზედ ადვილია.

თიბისი ქარდის აღება შეუძლია ყველას, ვინც არანაკლებ 20 წლისაა, გააჩნია 6 თვიანი სამუშაო გამოცდილება და ვისი ყოველთვიური შემოსავალიც შეადგენს თბილისში მინიმუმ 200 ლარს, ხოლო რეგიონებში – მინიმუმ 100 ლარს.

თიბისი ქარდის დანერგვით, თიბისი ბანკი აგრძელებს მომხმარებლისათვის მოსახერხებელი საბანკო პროდუქტებისა და სერვისების შეთავაზების ტრადიციას, რომელსაც უკანასკნელი წლების განმავლობაში ბანკი წარმატებით ახორციელებს.